GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 152
თარიღი: 26 06 2015 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

23/06/2015

MES 7 15 00584096

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS)
ვიცე-დირექტორს ბატონ პაატა გაფრინდაშვილს
მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N27

ბატონო პაატა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2015 წლის 05 ივნისის N225 განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის N471744; 08.06.15) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 27-ე, 28-ე, 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გაცნობებთ, რომ ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ღიაობას და ყველასთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას. ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ქმნის ზოგადი განათლების სისტემას და სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს. აღნიშნული მიზნების რეალიზაციისათვის სახელმწიფოს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „მოსწავლეების სახელმძღვანელოების პროგრამის“ განხორციელების მიზნით გამოიყო გარკვეული ასიგნებები და პროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვრა მხოლოდ სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი და ომში დაღუპული მეომრების ოჯახების მოსწავლეები. თუმცა, იმის გამო, რომ ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური - ეკონომიკური ფონი იყო, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს უჭირდა და უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებდა მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების შეძენას. სამინისტრო გამოვიდა ინიციატივით, რომ სახელმძღვანელოების შესყიდვა და უსასყიდლოდ გადაცემა განხორციელებულიყო საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისთვის.

ამასთან, როგორც ბაზრის მოკვლევამ აჩვენა საქართველოში არსებული სასკოლო სახელმძღვანელოებისა და თანდართული სამუშაო რვეულების საბაზრო ღირებულება

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

გაცილებით მეტი იყო მათი შექმნისათვის გაწეულ რეალურ ხარჯებთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ სამინისტრო გამოიყენებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის N30/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის შესახებ" დამტკიცებული წესის მე-2 თავის მე-6 მუხლის „თ" ქვეპუნქტს, მე-10 მუხლის „ბ" ქვეპუნქტისა და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტს და თავად განახორციელებდა ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვას, აღნიშნული აქტივობის ხარჯი განისაზღვრებოდა სავარაუდოდ 13 მლნ ლარით, მაშინ როცა იგივე რაოდენობის სახელმძღვანელოების სარეალიზაციო ღირებულება წინა წლებში განისაზღვრა დაახლოებით 35 მლნ ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია სახელმძღვანელოების ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა და საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისთვის უფასოდ დარიგება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა საფუძველზე განისაზღვრა მოსწავლეთა რაოდენობა.

ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოიძია ევროპაში არსებული და საერთაშორისო ბაზარზე ოპერირებადი სტამბები, არსებული საბეჭდი ქარხნების და სტამბების სია. ამავდროულად, სამინისტრომ ჩაატარა ფასთა მოკვლევა ადგილობრივ ბაზარზე. კერძოდ, სამინისტრომ მოიკვლია საქართველოში არსებული ბაზარი სტამბების სფეროში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მცირე ზომის სტამბებს არ აქვთ საკუთარი რესურსი განახორციელონ საჭირო მოცულობის ბეჭდვითი სამუშაოები. საქართველოს პოლიგრაფისტთა ასოციაციამ 4 თვის განმავლობაში დაახლოებით 4 მლნ. ეგზემპლარი სახელმძღვანელოს დასაბეჭდად შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობისა და რესურსის გათვალისწინებით, რეკომენდაცია გაუწია კონკრეტულ სტამბებს. თუმცა, სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნული სტამბებისთვის ინდივიდუალური შეკვეთის მიცემა ან მთლიანი მოცულობის გადანაწილება ასევე გამოიწვევდა სახელმძღვანელოს/რვეულის ერთეული ფასის ზრდას.

ამასთან, შემოთავაზებული წინადადებებიდან ბეჭდვისა და ტრანსპორტირების ყველაზე დაბალი ფასი შემოთავაზებული იქნა ბულგარეთის სტამბისგან, მაგრამ მოწოდების ვადებიდან გამომდინარე აღნიშნული წინადადება მიუღებელი იყო სამინისტროსთვის, რადგან შემოთავაზებული პროდუქციის დარიგება ვერ მოხდებოდა დროულად, აღნიშნული კი თავისთავად გამოიწვევდა სასწავლო პროცესის შეფერხებას. გარდა ამისა, ქვეყნის გარეთ მომსახურების დაკვეთა იწვევდა გარკვეულ რისკს, ვინაიდან ხარვეზის გამოსწორების დრო პრაქტიკულად არ რჩებოდა.

ამასთან, შემდეგი დაბალი ფასი შემოთავაზებული იქნა ადგილობრივი მომწოდებლისგან. მომწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესრულების ვადები იყო მისაღები, რომელიც უზრუნველყოფდა სასწავლო პროცესის შეუფერხებლობას. ამასთან, არსებობდა მყარი არგუმენტი, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან,

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ქვეყნის შიგნით ბრუნვის აუცილებლობასთან. პროექტის საქართველოში განხორციელებით ადგილობრივი მომწოდებლის ინფორმაციით დასაქმდებოდა დაახლოებით 1300 ადამიანი.

ვინაიდან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოები ქვეყნის მასშტაბით სკოლებს უნდა მიწოდებოდა 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებამდე, დაბეჭდილი წიგნებისა და რვეულების დახარისხება, დაფასოება სკოლების მიხედვით და დარიგება საჭიროებდა მინიმუმ 1-1,5 თვეს, ხოლო სახელმძღვანელოებისა და თანდართული სამუშაო რვეულების დაბეჭდვა საჭიროებს არანაკლებ 3 თვეს და ელექტრონული ტენდერის პროცედურები დროში რეგლამენტირებულია (სულ მცირე 1 თვე) შესასყიდი მომსახურების მასშტაბების და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა განეხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის გზით.

2014 წელს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სასკოლო სახელმძღვანელოების გამარტივებული შესყიდვასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში შესყიდვის განხორციელებისთვის ბაზრის კვლევის დაწყება შეუძლებელია წლის დასაწყისში: თავდაპირველად ფასდება სისტემაში და გამოყენებაში არსებული სახელმძღვანელოების ცვეთის დინამიკა, რაც საჭიროებს რამდენიმე ეტაპიან მონიტორინგს, დგინდება სისტემაში არსებული, გამოყენებისთვის ვარგისად შეფასებული სახელმძღვანელოების რაოდენობა და შემდეგ ითვლება დამატებით დასაბეჭდი სახელმძღვანელოების რაოდენობა ბენეფიციართა რაოდენობის შესაბამისად. ამასთან, განსაზღვრას საჭიროებს ბენეფიციართა რაოდენობაც. მონიტორინგი და შეფასება დროში გაწერილი პროცესია და რამდენიმე ეტაპად ჩატარდა.

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადგინდა 2014-2015 სასწავლო წლისთვის საჭირო სასკოლო სახელმძღვანელოებისა და რვეულების რაოდენობა, რომლის დროსაც გათვალისწინებულ იქნა 2014-2015 სასწავლო წელს პირველკლასელთა კონტინგენტის მოსალოდნელი რაოდენობა. პირველკლასელთა კონტინგენტის მოსალოდნელი რაოდენობა შეფასდა იმ პირობით, რომ პირველ კლასში შევიდოდნენ მხოლოდ 2009 წლის პირველ იანვრამდე დაბადებული ბავშვები. ასევე, პირველკლასელთა სავარაუდო რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იყო მიღებული სხვა გარემოებები და მონაცემები.

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, 2013 წელს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით და ასევე, სხვადასხვა ინტერნეტ ვებ-გვერდების გამოყენებით მოიძია საქართველოში და საერთაშორისო ბაზარზე არსებული საბეჭდი ქარხნების და სტამბების სია. ჯამში სააგენტოს მიერ მოძიებულ იქნა 45 კომპანია. მომწოდებლების დიდი ნაწილი არ დაინტერესდა და შესაბამისად უარი თქვა ფასთა კვლევაში მონაწილეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საქართველოს არარეზიდენტი კომპანიის მიერ მოწოდებული სასკოლო სახელმძღვანელოებისა და რვეულების ბეჭდვის ღირებულება ნაკლები იყო, უნდა გასათვალისწინებელი რიგი გარემოებები - კომპანიის წინადადება არ

აკმაყოფილებდა სააგენტოს მიერ გაგზავნილ მოთხოვნას სრული საჭირო რაოდენობების გათვალისწინებით, დაკვეთის დანაწევრება კი როგორც ზემოთ აღინიშნა, ზრდიდა რისკებს, არ იყო ფინანსურად ეფექტური, საფრთხის ქვეშ აყენებდა პროექტის სრულად განხორციელებას, მკვეთრად განსაზღვრულ შესრულების ვადებს, ართულებდა განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესს, ამცირებდა მასშტაბის ეკონომიის ეფექტს.

ადგილობრივი მომწოდებელი სრულად პასუხობდა სააგენტოს მიერ გაგზავნილ მოთხოვნას და სატელეფონო მოლაპარაკებისას უთითებდა, რომ დაკვეთის სრულად შესასრულებლად ესაჭიროება ხელშეკრულების გაფორმებიდან მაქსიმუმ 3 თვე, თუმცა საზღვარგარეთ მდებარე კომპანიებისგან განსხვავებით პროდუქტის ჩაბარებას აწარმოებდა ეტაპობრივად, ბეჭდვის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, გარდა ამისა არ იყო საჭირო დამატებითი დრო თბილისამდე ტრანსპორტირებისათვის და სააგენტოს თბილისიდან საქართველოს მასშტაბით არსებულ სკოლებში სახელმძღვანელოების დარიგება უკვე ხელშეკრულების გაფორმებიდან შეეძლო დაეწყო არაუგვიანეს 1 თვისა. აღნიშნული უზრუნველყოფდა ბეჭდვისა და დისტრიბუციის დასრულებას დაახლოებით 2014 წლის 1 სექტემბრისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში, განხორციელების განრიგს ემატებოდა 40-45 კალენდარული დღე, რაც პროგრამის შესრულებას 2014 წლის 1 სექტემბრისათვის შეუძლებელს ხდიდა.

ამასთან, ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ტენდერის გამოცხადებიდან გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდი განისაზღვრება 40-45 კალენდარულ დღით (ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში). ასევე წინასწარ ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგად დადგინა, რომ 2014-2015 სასწავლო წლისთვის საჭირო სახელმძღვანელოების შესყიდვისა და საქართველოში ჩამოტანის პერიოდი შეადგენდა მინიმუმ 3 თვესა და ერთ კვირას (ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში). სახელმძღვანელოების საჯარო სკოლამდე სააგენტოს მიერ ორგანიზებული დისტრიბუციის ვადა კი შეადგენდა დაახლოებით 30-40 კალენდარულ დღეს.

ელექტრონული ტენდერის შედეგად, საქართველოს არარეზიდენტი კომპანიის გამარჯვების შემთხვევაში, მოხდებოდა პროექტისთვის განსაზღვრული თანხების 100%-ის გადინება ქვეყნის გარეთ, ასევე სააგენტოს მოუწევდა დამატებით სახსრების გამოყოფა სპეციალისტების ადგილზე მივლინების (შეკვეთა, მონიტორინგი და ა.შ) ხარჯების დასაფინანსებლად. ასევე, მოწოდებულ პროდუქციაში ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, ნაკლოვანი წიგნების ჩანაცვლებას დასჭირდებოდა საგრძნობლად დიდი დრო, რასაც შეიძლება გამოეწვია ახალი 2014-2015 სასწავლო წლის დასაწყისისთვის რიგი მოსწავლეების სახელმძღვანელოებით გარეშე დარჩენა.

ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 აპრილის N320 განკარგულებით, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ სააგენტოს ნება დაერთო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განეხორციელებინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების ბეჭდვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა. როგორც შემდგომმა კვლევამ აჩვენა,

კონკრეტული სტამბის დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა დაახლოებით 1100 ადგილობრივი მუშახელი, რომლის სახელფასო ფონდმა შეადგინა 1 561 705 ლარი. ასევე, აღსანიშნავია, რომ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საერთო ღირებულების (9 939 552, 77 ლარი) დაახლოებით 16% (1 609 704.55 ლარი) ქვეყნის ბიუჯეტში დაბრუნდა გადასახადების სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ბეჭდვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განეხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის გზით.

განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ ზემოაღნიშნული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი / საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
მიროტაძე მედიკო

მ. მიროტაძე